ადრესატი:

თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

წერილის ნომერი:**16-01183134184**
თარიღი: **09/11/2018**

ქალბატონო თეონა,

2018 წლის 16 ოქტომბრის თქვენი წერილის (N 60-0118289960) პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, ველოტრეკის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.06.001.249) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების (AR1620993) ფარგლებში სატრანსპორტო კვლევის დოკუმენტაციის განხილვასა და პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში შეიცავს ხარვეზებს და უზუსტობებს, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გაანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტერიტორიის **საზოგადოებრივი ტრანსპორტით** მომსახურების დონე გასაუმჯობესებელია. გასაუმჯობესებელია, ასევე, აღნიშნული ტერიტორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სივრცითი დაფარვა. ამასთანავე, კვლევამ აჩვენა, რომ საპროექტო ტერიტორიასთან მდებარე უახლოეს გაჩერებებზე მომსახურე ავტობუსები მოძრაობს სრული დატვირთვით და რეზერვები თითქმის ამოწურულია. თუმცა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სქემის განახლების მიმდინარე კვლევის ფარგლებში მირიან მეფისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩები მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). შესაბამისად, სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებები აღნიშნული პრობლემების მოგვარების შესაძლებლობას ქმნის.

საპროექტო ტერიტორიასთან მდებარე ავტობუსის უახლოესი გაჩერებები მდებარეობს პ. იბერის ქუჩაზე დაახლოებით 450 მეტრის, მირიან მეფის ქუჩაზე 575 მეტრის, ხოლო თეიმურაზ I-ის ქუჩაზე 285 მეტრის მანძილზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია **საქვეითე ინფრასტრუქტურის** მოწყობა/გაუმჯობესება, რაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

საგზაო მოძრაობის გამტარუნარიანობის თვალსაზრისით მიმდებარე კვანძების ზოგიერთი მიმართულება გადატვირთულია. თუმცა, საქვეითე და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარების შემდეგ, ქალაქის ძირითად სატრანსპორტო დერეფნების მიმდებარე განაშენიანებებში მოსალოდნელია მოდალურ განაწილებაში ინდივიდუალური მანქანით გადაადგილების წილის შემცირება, ან მინიმუმ, არსებულ ნიშნულზე დარჩენა.

შესაბამისად, აღნიშნული, სამომავლო ღონისძიებები, ასევე, უზრუნველყოფს განაშენიანების შესაბამის სატრანსპორტო მომსახურებას.

შესათანხმებელია საპროექტო ტერიტორიის მოძრაობის ორგანიზების სქემა მიმდებარე - თეიმურაზ I-ისა და გიორგი ბრწყინვალეს ქუჩებთან კავშირის ჩვენებით და პარამეტრების (მათ შორის ტროტუარის, სავალი ნაწილის, საქვეითე გადასასვლელების) მითითებით. მოძრაობის ორგანიზების სქემის შესათანხმებლად სამსახურში წარმოდგენილი უნდა იყოს A3 ფორმატით

ამობეჭდილი ოთხი ფერადი ეგზემპლარი. სქემის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობის განცხადების (ურბანულ ან არქიტექტურის სამსახურში შეტანილი) ნომერი და საკადასტრო კოდი.

სამსახურის მიერ სქემის შეთანხმების შემთხვევაში, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა²“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტების შეთანხმების (AR1620993) წინააღმდეგი.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)